



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 10
06/02/2019

10-06-4-201902061530



„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-
ელექტროგადამცემი ხაზის-გარე განათების კონსტრუქციის (ს.კ.89.00.014) ბოძებზე
არსებული კაბელიდან 30 სმ-ით დაშორებული წერტილის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის
დაკიდების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით
გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის
თაობაზე“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 სექტემბრის №66
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-
ელექტროგადამცემი ხაზის-გარე განათების კონსტრუქციის (ს.კ. 89.00.014)
ბოძებზე არსებული კაბელიდან 30 სმ-ით დაშორებული წერტილის, ოპტიკურ-
ბოჭკოვანი კაბელის დაკიდების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით
სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის
მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ცაგერის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 სექტემბრის №66
განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:
ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების, ელექტროგადამცემი ხაზის-გარე განათების
კონსტრუქციის(ს.კ. 89.00.014) 320 ცალი განათების ბოძზე არსებულ კაბელს ზემოთ 30 სმ-
ით დაშორებული წერტილის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაკიდების მიზნით,
პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის თაობაზე.“

ბ) განკარგულების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წლიური საიჯარო ქირის ფასი განისაზღვროს: ერთი ცალი წერტილოვანი ობიექტის ერთ თვეში 0.5 ლარის ოდენობით.

3. ერთ თვეში: $320 \text{ ცალი} \times 0.5 \text{ ლარი} = 160 \text{ ლარი}$

4. ერთ წელში: $160 \text{ ლარი} \times 12 \text{ თვე} = 1920 \text{ ლარი.}$ “

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა



საკრებულოს თავმჯდომარე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო